ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2017 წლის 28 დეკემბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ თანდართული სახით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11ივლისის №19 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 13/07/2017, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016406).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამარ ყეინიშვილი**

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	აპარატის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1	1500
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების და საკადრო საკითხებში)	3	1	700
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების და საკადრო საკითხებში)	3	1	650
4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	3	1	650
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში)	3	1	650
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	3	1	650

7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1	650
სულ			7	